ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6968144

ნომერი: AR11026964

თარიღი : 01.04.2024

გაცემის თარიღი : 05.04.2024

გაცნობის თარიღი : 12.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , III და IV მიკრო-რაიონებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მინური აბულაძე პ/ნ 61009000931
- ხულო ს. შურმული მე–4 I ჩიხი N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 17 იანვარს №AR11011064 განცხადებით მომართა მინური აბულაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 20

ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებით, №01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ც“ ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6824455 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 15 მარტის №6935124 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 476.85 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნა სასაწყობე 313.56 კვ.მ. ფართობი. აგრეთვე, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 6514.98 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1082.18 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 684.14 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 770.25 კვ.მ., საერთო ფართობად 10879.06 კვ.მ., ამასთან, შეთანხმებული გენ-გეგმა და არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 17 იანვრის №AR11011064 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმითა და არქიტექტურული გეგმებით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ამჯერად სურს +29.40 ნიშნულის არქიტექტურული გეგმაზე ტერასის 886.85 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება და შესაბამისად, შეთანხმებული აღნიშნული ნიშნულის არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +29.40 ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმა შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის არქიტექტურულ გეგმას და დაადგინა, რომ საზაფხულო ფართობზე ტექნიკური შეცდომის შედეგად არ იქნა დაფიქსირებული შესაბამისი 886.85 კვ.მ. ფართობი. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული (სამსახურის 2024 წლის 15 მარტის №6935124 ბრძანების გათვალისწინებით) +29.40 ნიშნულის არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში (სამსახურის 2024 წლის 15 მარტის №6935124 ბრძანების გათვალისწინებით) და შეთანხმებული +29.40 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი აღნიშნული ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.